<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2017 წელი

ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, მეტროსადგურ შოთა რუსთაველის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ფარმაცევტი ევგენი ზემელის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) მთაწმინდის რაიონში, მეტროსადგურ შოთა რუსთაველის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს ფარმაცევტი ევგენი ზემელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X- 482,599.719
Y- 4,616,964.557
X- 482,561.636
Y- 4,616,958.162
ევგენი ზეიბელის სახელობის
სკვერი
X- 482,560.189
Y- 4,616,957.171
X- 482,575.314
Y- 4,616,948.705
X- 482,575.978
Y- 4,616,947.973
X- 482,567.921
Y- 4,616,944.049

02/778

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარეს ლია ჯახველაძეს

მოგმართავთ ინიციატივით, თბილისში რესპუბლიკის და რუსთაველის მოედნებსა და კოსტავას ქუჩას შორის მდებარე მცირე სკვერს, საკადასტრო კოდით: 01.15.03.028.008 მიენიჭოს თბილისელი გერმანელის, ცნობილი ფარმაცევტის ევგენი ზემელის სახელი. როგორც ცნობილია, ზემელის სახელგანთქმული აფთიაქი სწორედ ამ სკვერის ტერიტორიაზე მდებარეობდა და სწორედ ამ აფთიაქის გამო ხალხში მთელს მიკროუბანს ზემელის სახელი ეწოდა. ვფიქრობ საშური საქმეა ხალხში ესოდენ შემორჩენილი სახელწოდება ბოლოს და ბოლოს ვაქციოთ ოფიციალურ ტოპონიმად. ასევე კარგი იქნებოდა სახელის მინიჭების გარდა აღნიშნულ სკვერში დავდგათ საინფორმაციო-მემორიალური დაფა სადაც განთავსებული იქნება ევგენი ზემელის მოკლე ბიოგრაფია და აფთიაქის ძველი ფოტოები.

პატივისცემით

თბილისის საკრებულოს წევრი

ალექსანდრე ელისაშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი
№ 10/16732
"19" სექტემბერი 2016 წ.
ფურცლის რაოდენობა 1 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

ევგენი ზემელი
(1858-?)

ფარმაცევტი

ევგენი ზემელი, ეროვნებით გერმანელი - ფარმაცევტი და ჰომეოპათიური აფთიაქის მფლობელი იყო. ევგენი კარლ ზემელი დაბადებულია 1858 წლის 18 ნოემბერს ჰოლანდიის ქალაქ სოლდინდებში. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში კავკასიის ფარმაცევტული საზოგადოების დაარსების საქმეში. ცნობილი ფაქტია, რომ ზემელი ფულს უხდიდა ტრამვაის მძღოლებს, რათა გაჩერებისას ხმამაღლა დაეძახათ: ,,ზემელის აფთიაქი,, მეოცე საუკუნის 30-იან წლებში, სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით, ზემელის აფთიაქი დაანგრიეს, თუმცა სახელი „ზემელი" ამ ადგილს დღემდე შემორჩა.